GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 150
თარიღი: 19 06 2015 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის სამსახური

N 25/11929 17/06/2015 11929-25-2-201506171131

ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №27-ში,
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი
პაატა გაფრინდაშვილი

თქვენი წერილის (№15762/25, 15.06.15წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „ტურინვესტი"-ს მიერ ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. №37-ში, სანებართვო პირობების (პროექტის) დარღვევით განხორციელდა საცხოვრებელი და სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. აღნიშნულის გამო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შ.პ.ს. ტურინვესტი"-ს მიმართ 2013 წლის 30 სექტემბერს გაიცა №271 მითითება და დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება. მითითებით შ.პ.ს. „ტურინვესტ"-ს მიეცა წინადადება დაუყოვნებლივ შეეჩერებინათ სამშენებლო სამუშაოები და 07 დღის ვადაში ობიექტი მოეყვანა სამშენებლო დოკუმენტთან (პროექტთან) შესაბამისობაში ან წარმოედგინა სათანადო დოკუმენტაცია, მითითებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2013 წლის 15 ოქტომბერს გაიცა №224 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გამო შ.პ.ს. ტურინვესტი"-ს დაჯარიმების, მშენებლობის შეჩერების და ობიექტის სამშენებლო დოკუმენტთან (პროექტის) შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე და საქმე გადაიგზავნა აჭარის სააღსრულებლო ბიუროში იძულებით აღსრულებაზე (№224/13, 22.010.13წ.).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2013 წლის 05 დეკემბერს შ.პ.ს. ტურინვესტი"-ს მიმართ გაიცა №360 დადგენილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 15 ოქტომბრის №224 დადგენილების იძულებით შეჩერების ნაწილში არ შესრულების გამო დაკისრებული ჯარიმის დაკისრების შესახებ.

შ.პ.ს. ტურინვესტი"-ს მიერ 2013 წლის 16 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა თვითმართველი ქალაქი-ბათუმის საკრებულოს თავჯდომარის მიერ გაცემული

არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანის და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება №02/2791, მშენებლობის სანებართვო მოწმობა №000802, 16.12.13წ. და ჯარიმების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რის საფუძველზეც შეწყდა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევისათვის საქმისწარმოება შ.პ.ს. ტურინვესტი"-ზე, ვინაიდან შესრულდა დადგენილების პირობები.

ზაალ მამუჭაძე

სამსახურის უფროსი